ხელშეკრულება N 8

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205350699), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი სამსახურის უფროსის **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: **შპს „ჯი-თი გრუპ“, საიდენტიფიკაციო კოდი: 200 119 923;**

მისამართი, ტელეფონი: **ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №216, ტელ: 599 503 000, 032 2 749 299;**

გენერალური დირექტორი: თემურ უსტიაშვილი

საბანკო რეკვიზიტები: **სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22; ანგარიშის ნომერი: GE 43 BG 0000 0001 2221 1500;**

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვთანხმდებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 **ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია:** შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების ბალანსზე რიცხული (არაუმეტეს 5 (ხუთი) წლის წლოვანების) 20 (ოცი) ერთეული IVECO ASTRA-ს მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.

2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა - საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.3 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 100 000 (ასი ათასი) ლარს, ხოლო პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 187 127 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ასოცდაშვიდი) ლარს** რომელიც მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს. ამასთან.

2.4 **კლასიფიკატორის კოდი - 50112000** - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაგრამ არანაკლებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

2.6 **დაფინანსების წყარო:** 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით (პრეისკურანტი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, - ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. მიმწოდებელმა, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა უნდა ჩაატაროს ავტომობილების დათვალიერება და წარუდგინოს შესმყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად, რომელშიც აღნიშნული იქნება გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის დეტალური აღწერა, ღირებულება და მომსახურების გაწევის ვადა;

3.2 მომსახურების გაწევის ვადები:

3.2.1 **სავალი ნაწილებისათვის არაუმეტეს 2 სამუშაო დღე;**

3.2.2 **ელექტროობისათვის: მარტივი სირთულის 1, საშუალო სირთულის 3, რთული არაუმეტეს 6 სამუშაო დღე;**

3.2.3 **აგრეგატებისათვის: მარტივი სირთულის 1, საშუალო სირთულის 3, რთული არაუმეტეს 6 სამუშაო დღე;**

3.2.4 სათუნუქე სამღებრო სამუშაოებისათვის: მარტივი სირთულის 5, საშუალო სირთულის 8, რთული არაუმეტეს 20 სამუშაო დღე;

3.2.5 ხანგრძლივი მომსახურების (ძრავი, ხიდი, სიჩქარეთა კოლოფი) მარტივი სირთულის 5, საშუალო სირთულის 8, რთული არაუმეტეს 11 სამუშაო დღე;

3.2.6 სათადარიგო ნაწილის საზღვარგარეთ შეკვეთის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ვადა არაუმეტეს 30 კალენდარულ დღეს;

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი:

3.3.1 მომსახურების გაწევის ადგილია, მიმწოდებლის სერვისცენტრი, მდებარე: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N216;

3.3.2 დაზიანების სირთულიდან გამომდინარე მიმწოდებელმა შეიძლება მოითხოვოს ავტოსატრანსპორტო საშუალების ევაკუირება მისივე ოფიციალურ სერვის ცენტრში, რომლის მდებარეობაა ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი N216. მსგავს შემთხვევაში ევაკუირების ხარჯები სრულად ეკისრება შემსყიდველს.

3.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი გადაწყვეტს გამოიძახოს მიმწოდებლის სერვის მობილი ტექნიკური მომსახურების გაწევის მიზნით, მომსახურების ღირებულება ყოველი 1 (ერთი) კმ მანძილზე (ერთი მიმართულება) შეადგენს 1.40 (ერთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარს.

3.5 მომსახურების გაწევის პირობები:

- სერვისცენტრებში დაცული უნდა იყოს ჰიგიენური ნორმები.

- ავტომანქანის დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი (არამეორადი) მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით.

- მომსახურების გაწევის პერიოდში, მიმწოდებლის ბრალეულობით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ხარჯების სრულად ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

- მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, სერვის-ცენტრში უნდა უზრუნველყოს ერთდროულად ტექ-მომსახურების გაწევა არანაკლებ 2 ავტომანქანისათვის;

- სერვის ცენტრს უნდა გააჩნდეს საჭირო ფართი იმისათვის, რომ უზრუნველყოს ზემოაღნიშნული რაოდენობის ფარგლებში შემსყიდველის ავტომობილების განთავსება ბოქსებში ან/და შესაბამის სადგომზე (დაცულ ტერიტორიაზე).

- ავტომანქანის სერვის ცენტრში მიყვანიდან, მიმწოდებელმა შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა უნდა ჩაატაროს ავტომობილების დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად, რომელშიც აღნიშნული იქნება გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის დეტალური აღწერა, თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ასევე შესრულებული სამუშაოს აქტი, რომელშიც აღნიშნული იქნება გაწეული მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის გახარჯული სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის დეტალური აღწერა, თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. ამასთან, ავტომანქანების ტექმომსახურება უნდა განხორციელდეს, დეფექტურ აქტში მოცემულ მხოლოდ იმ პოზიციებზე, რომლებზეც იქნება შემსყიდველის უფლებამოსილი პირის თანხმობა-დასტური. ასევე ყოველი კვირის პარასკევ დღეს მიმწოდებლის მიერ შედგენილ და შემსყიდველისთვის წარდგენილ უნდა იქნას გაწეული ტექნიკური მომსახურების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ინვოისი, დეფექტური აქტი, შესრულებული სამუშაოს აქტი).

- სერვის-ცენტრი აღჭურვილი უნდა იყოს ვიდეო-კამერებით, რომლებიც საშუალებას მისცემს შემსყიდველს რეალურ დროში დააკვირდეს მუშაობის პროცესს (კამერების ხედვის არეალში მოქცეული უნდა იყოს ყველა "ბოქსი“) და ამასთან, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს არანაკლებ 10 დღიანი ჩანაწერის უზრუნველყოფა, რომლის მიწოდება შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რიგგარეშედ.

- მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ავტოსათადარიგო ნაწილის საქართველოს ფარგლებს გარეთ შეკვეთისას, ავტომანქანაზე დეფექტური აქტის შედგენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში, მოთხოვნის შემთხვევაში, წერილობითი სახით (მათ შორის ელექტრონულ მისამართზე) წარუდგინოს შემსყიდველს შეკვთის განხორციელების დამადასტურებლად დოკუმენტი ან შეტყობინება, რომელიც არ შეიცავს მიმწოდებლის კომერციულ საიდუმლოებას.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, კერძოდ მოცემული ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ვადებში გამოასწოროს ნაკლი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.3 მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული ტექ-მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ: **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

5.4 კონტროლის განმახორციელებელი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის (ინსპექტირების ჯგუფის) ფუნქციაა:

5.4.1 დაადგინოს გაწეული მომსახურების და შეცვლილი სათადარიგო ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.2 დაადგინოს მომსახურების გაწევისა და სათადარიგო ნაწილის შეცვლის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.3 პერიოდულად შეამოწმოს, მიმწოდებლის მიერ სერვის ცენტრებში დაყენებული ვიდეოკამერების ფუნქციონირების შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

5.4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურის ინფორმირება.

5.4.5 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების მონიტორინგი და ადმინისტრირება.

5.5 ინსპექტირების ჯგუფი გაწეული მომსახურების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

5.6 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-მომსახეურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

5.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

5.8 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი). კერძოდ: **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ტრანსპორტის სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

6.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება უხარისხო (წუნდებული) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.6 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება ვალუტა - ლარი;

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით. საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და შემსყიდველისათვის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში;

7.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულებით გათვალისწინებული სრული თანხა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს განსახორციელებელი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების **0.10%-ის** ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.10%**-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა **2.4** პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების **5%**-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა. **10.2** ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.

10.4 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის სათადარიგო ნაწილი/საცხებ-საპოხი მასალა/მომსახურება, აღნიშნული გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული - „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-15[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის თავდაპირველი ღირებულების 10%-ს.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით.
12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

13.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

13.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

14.3 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

14.4 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

მიმწოდებელი:

შპს „ჯი თი გრუპის“

გენერალური დირექტორი

GT GROUPLLC

Digitally signed by GT GROUPLLC
Date: 2021.02.01 16:47:11 +04'00'

თემურ უსტიაშვილი

შემსყიდველი:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სამსახურის უფროსი

თეიმურაზ მღებრიშვილი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ნაწილის ერთ. ფასი	მომსახურების ერთ. ფასი	საგარანტიო ვადა
1	ძრავის ღვედი	1	252.00	120.00	0
2	კონდიციონერის კომპრესორის ღვედი	1	90.00	40.00	0
3	შუა და უკანა ხიდის საბურავის ბოლტი	1	20.00	24.00	0
4	წინა ხიდის საბურავის ბოლტი	1	22.00	48.00	0
5	საბურავის ქანჩის ბოლტი	1	17.00	48.00	0
6	გადაბმულობის კომპლექტი	1	3,791.00	664.00	6 თვე
7	გადაბმულობის დისკი	1	1,991.00	664.00	6 თვე
8	გადაბმულობის დამწოლი საკისარი	1	502.00	664.00	6 თვე
9	პგუ	1	522.00	80.00	6 თვე
10	გადაბმულობის მთავარი ცილინდრი	1	1,646.00	128.00	6 თვე
11	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	1	1,539.00	152.00	6 თვე
12	ძრავის ვენტილატორი	1	3,970.00	136.00	6 თვე
13	წყლის ტუმბო	1	876.00	136.00	6 თვე
14	წინა და უკანა ხიდის სამუხრუჭე ხუნდის ზესადები	1	1,376.00	312.00	0
15	სამუხრუჭე ხუნდის მოქლონი	1	1.00		0
16	მუხრუჭის ხუნდი ზესადებით კომპლექტში	1	5,141.00	200.00	0
17	უკანა მუხრუჭის სოლი	1	624.00	56.00	0
18	წინა მუხრუჭის გამშლელი ავზაკი	1	2,522.00	392.00	0
19	წინა მუხრუჭის მომჭიმი ზამბარა	1	312.00	128.00	0
20	წინა მუხრუჭის დოლურა	1	1,652.00	56.00	0
21	უკანა მუხრუჭის დოლურა	1	1,766.00	80.00	0
22	უკანა მუხრუჭის გამშლელი ავზაკი	1	179.00	160.00	0
23	უკანა მუხრუჭის დიდი ავზაკი	1	1,479.00	48.00	6 თვე
24	უკანა მუხრუჭის პატარა ავზაკი	1	996.00	48.00	6 თვე
25	წინა მუხრუჭის ავზაკი	1	1,163.00	48.00	0
26	მფრქვევანა	1	2,538.00	240.00	6 თვე
27	ძრავის უკანა ბალიში	1	916.00	40.00	6 თვე
28	ძრავის წინა ბალიში	1	592.00	176.00	6 თვე
29	რადიატორი	1	5,825.00	88.00	6 თვე
30	ვენტილატორის საკისარი	1	292.00	304.00	6 თვე
31	ღვედის გორგოლაჭი	1	444.00	136.00	6 თვე
32	ღვედის დამჭიმი	1	390.00	64.00	6 თვე
33	რადიატორის ზედა მილი	1	328.00	32.00	0
34	რადიატორის ქვედა მილი	1	286.00	64.00	0
35	კაბინის უკანა ამორტიზატორი	1	1,015.00	64.00	6 თვე
36	კაბინის წინა ამორტიზატორი	1	1,202.00	40.00	6 თვე
37	კაბინის ქვედა საყრდენის უკანა მილისა	1	472.00	96.00	0
38	კაბინის ქვედა საყრდენის წინა მილისა	1	8.00	136.00	0
39	კაბინის ზედა საყრდენის მილია	1	683.00		0
40	წინა ამორტიზატორი	1	967.00	64.00	6 თვე
41	უკანა ამორტიზატორი	1	927.00	64.00	6 თვე
42	მშრალი ამორტიზატორის სტერჟინის მილისა	1	71.00	40.00	0
43	წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინის მილისა	1	93.00	40.00	0
44	უკანა მშრალი ამორტიზატორის რეზინის მილისა	1	92.00	40.00	0
45	ჰაერის შემშვების გოფრირებული მილი	1	253.00	32.00	0
46	ჰაერის შემშვების რეზინის მილი	1	371.00	24.00	0
47	უკანა რესორის სტრემიონკა	1	139.00	40.00	0
48	უკანა რესორის ქანჩი	1	20.00	16.00	0
49	განივი წევა	1	2,402.00	56.00	6 თვე
50	განივი წევის ქანჩი	1	15.00		0
51	გრძივი წევა	1	1,836.00	112.00	6 თვე
52	გრძივი წევის ქანჩი	1	47.00		0
53	თვლის ნახრის გასწორება	1		136.00	0
54	წინა ნახევარღერძის შიდა ჩობალი	1	223.00	648.00	0
55	წინა ნახევარღერძის გარე ჩობალი	1	97.00	608.00	0
56	წინა მორგვის ჩობალი	1	209.00	288.00	0
57	წინა მორგვის ჩობალი	1	213.00	288.00	0
58	უკანა მორგვის ჩობალი	1	168.00	264.00	0
59	უკანა მორგვის ჩობალი	1	158.00	264.00	0
60	წინა ნახევარღერძის საკისარი	1	120.00	608.00	0
61	ტაბიკის ჩობალი	1	25.00	608.00	0
62	ტაბიკის საკისარი	1	101.00	608.00	0
63	ტაბიკის ჩამკეტი რგოლი	1	2.00	608.00	0
64	ტაბიკის ქვედა საკისარი	1	79.00	608.00	0
65	ტაბიკის ქვედა სადები	1	103.00	608.00	0
66	ტაბიკის ქვედა რეზინის სადები	1	7.00	608.00	0
67	ტაბიკის ქვედა რეზინის სადების დამცავი	1	12.00	608.00	0

68	ტაბიკის ზედა ღერძი	1	137.00	608.00	0
69	ტაბიკის ქვედა ღერძი	1	145.00	608.00	0
70	ტაბიკის სადები 2მმ	1	24.00	608.00	0
71	ტაბიკის სადები 2.25მმ	1	22.00	608.00	0
72	ტაბიკის სადები 2.5მმ	1	22.00	608.00	0
73	ტაბიკის სადები 2.75მმ	1	22.00	608.00	0
74	ტაბიკის სადები 3მმ	1	23.00	608.00	0
75	ტაბიკის სადები 3.5მმ	1	25.00	608.00	0
76	ტაბიკის ჩობალი	1	25.00	608.00	0
77	ტაბიკის სადები 1.75მმ	1	7.00	608.00	0
78	უკანა რესორი	1	8,758.00	216.00	0
79	წინა რესორი	1	5,605.00	240.00	0
80	წინა რესორის ლიმონჩიკი	1	96.00	40.00	0
81	წინა რესორის სტრემიონკა	1	147.00	160.00	0
82	წინა სტრემიონკის ქანჩი	1	20.00	16.00	0
83	კომპრესორის მილის სადები	1	6.00	32.00	0
84	კომპრესორის დრეკადის მილი	1	632.00	32.00	0
85	წინა საქარე მინა	1	2,075.00	240.00	0
86	წინა საქარე მინის რეზინი	1	252.00	240.00	0
87	მინამწმენდის ჩოთქი	1	109.00	8.00	0
88	სარკე მარჯვენა	1	1,863.00	40.00	0
89	სარკე მარცხენა	1	1,958.00	40.00	0
90	კაბინის ზედა სარკე	1	644.00	40.00	0
91	მარჯვენა კარის შუშა	1	131.00	72.00	0
92	მარჯვენა კუთხის შუშა	1	290.00	224.00	0
93	მარცხენა კარის შუშა	1	131.00	72.00	0
94	მარცხენა კუთხის შუშა	1	290.00	224.00	0
95	უკანა მარჯვენა ფარი	1	878.00	32.00	0
96	უკანა მარცხენა ფარი	1	317.00	32.00	0
97	უკანა ფარის ცხაურის აღდგენა	1	-	80.00	0
98	წინა მარჯვენა ფარი	1	729.00	40.00	0
99	წინა მარცხენა ფარი	1	729.00	40.00	0
100	წინა მარჯვენა ციმციმა	1	158.00	40.00	0
101	წინა მარცხენა ციმციმა	1	158.00	40.00	0
102	მარცხენა კარი	1	2,350.00	672.00	0
103	მარჯვენა კარი	1	2,366.00	672.00	0
104	მარჯვენა კარის ზედა ანჯამი	1	277.00	136.00	0
105	მარჯვენა კარის ქვედა ანჯამი	1	293.00	136.00	0
106	მარცხენა კარის ზედა ანჯამი	1	277.00	136.00	0
107	მარცხენა კარის ქვედა ანჯამი	1	293.00	136.00	0
108	მარცხენა შუშის ამწევი	1	516.00	72.00	6 თვე
109	მარჯვენა შუშის ამწევი	1	516.00	72.00	6 თვე
110	წინა მარცხენა ფრთა	1	2,486.00	40.00	0
111	წინა მარცხენა ფრთის ზედა საფეხური	1	293.00	8.00	0
112	წინა მარცხენა ფრთის ქვედა საფეხური	1	293.00	8.00	0
113	წინა მარჯვენა ფრთა	1	3,162.00	40.00	0
114	წინა მარჯვენა ფრთის ზედა საფეხური	1	446.00	8.00	0
115	წინა მარჯვენა ფრთის ქვედა საფეხური	1	266.00	8.00	0
116	კაბინის უკანა ფრთა მარჯვენა	1	758.00	48.00	0
117	კაბინის უკანა ფრთა მარცხენა	1	968.00	56.00	0
118	წინა საქარე მინის მარცხენა საფარი	1	291.00	40.00	0
119	წინა საქარე მინის მარჯვენა საფარი	1	301.00	40.00	0
120	ქვედა ხედვის სარკე	1	426.00	24.00	0
121	ქვედა ხედვის სარკის საფარი	1	11.00	24.00	0
122	მარცხენა კარის გვერდითა საფარი	1	816.00	48.00	0
123	მარჯვენა კარის გვერდითა საფარი	1	816.00	48.00	0
124	კაპოტი	1	3,894.00	424.00	0
125	კაპოტის წინა საფარი მარცხენა	1	569.00	32.00	0
126	კაპოტის წინა საფარი მარჯვენა	1	569.00	32.00	0
127	წინა მარცხენა პანელი	1	501.00	32.00	0
128	წინა მარჯვენა პანელი	1	501.00	32.00	0
129	წინა მზის დამცავი პანელი კომპლექტში	1	2,552.00	120.00	0
130	წინა სახურავის სანათი მარცხენა	1	134.00	16.00	6 თვე
131	წინა სახურავის სანათი მარჯვენა	1	134.00	16.00	6 თვე
132	ციმციმას ბერკეტი	1	914.00	56.00	6 თვე
133	მონაცემათა დაფა	1	5,601.00	96.00	6 თვე
134	ფარების ჩამრთველი	1	180.00	16.00	6 თვე
135	სიჩქარის გადამწოდი	1	709.00	16.00	6 თვე
136	ტაქოგრაფი	1	6,561.00	16.00	6 თვე
137	წინა აბეესის სენსორი	1	156.00	112.00	6 თვე
138	წინა აბეესის კბილანა	1	278.00	288.00	6 თვე
139	უკანა აბეესის კბილანა	1	355.00	296.00	6 თვე

140	უკანა აბეესის სენსორი	1	176.00	296.00	6 თვე
141	მუხრუჭის ლიაგუშკა	1	572.00	56.00	6 თვე
142	სიჩქარის ბერკეტი	1	483.00	80.00	6 თვე
143	ლაფეტის დიდი ონკანი	1	1,650.00	120.00	0
144	ლაფეტის ონკანის მ/დ და ჰერმიტიზირება	1		240.00	0
145	პირველადის პატარა ონკანი	1	960.00	120.00	0
146	შემვსები ონკანი	1	330.00	40.00	0
147	ლაფეტის გამშლელი ელექტრო ძრავი	1	4,800.00	160.00	0
148	ბურთულიანი ონკანი 75მმ-იანი	1	330.00	40.00	0
149	ბურთულიანი ონკანი 52მმ-იანი	1	280.00	40.00	0
150	ლაფეტის დონის სენსორი	1	550.00	80.00	0
151	საწვავის ავზის ხუფი	1	450.00	8.00	0
152	ლაფეტის კამერა	1	950.00	80.00	0
153	ლაფეტის კამერის ელ. გაყვანილობის აღდგენა	1		160.00	0
154	დანადგარის წყლის დონის მილის გადამყვანი	1	150.00	24.00	0
155	ტელესკოპის ჩამრთველი ღილაკი	1	35.00	32.00	0
156	უკანა ლედ განათება	1	350.00	32.00	0
157	ვაკუუმის ტუმბოს რემ. კომპლექტი	1	420.00	120.00	0
158	წყლის ტუმბოს ღვედი	1	270.00	16.00	0
159	გვერდითა ზედა ციმციმას ცხაურის აღდგენა	1		40.00	0
160	ქაფის ავზის მ/დ	1		80.00	0
161	ქაფის ავზის აღდგენა	1		400.00	0
162	გაბარიტის ნათურა შუშის ძირით	1	6.00	24.00	0
163	გაბარიტის ნათურა რკინის ძირით	1	6.00	24.00	0
164	სტოპის ნათურა 1კ 24ვ	1	10.00	24.00	0
165	სტოპის ნათურა 2კ 24ვ	1	10.00	24.00	0
166	ნათურა 37 24ვ	1	19.00	24.00	0
167	ნათურა 31 24ვ	1	15.00	24.00	0
168	ნათურა 33 24ვ	1	15.00	24.00	0
169	ჰაერის პლასტმასის მილი 6მმ	1	8.00	40.00	0
170	ჰაერის პლასტმასის მილი 8მმ	1	8.00	40.00	0
171	ჰაერის პლასტმასის მილი 9მმ	1	8.00	40.00	0
172	ჰაერის პლასტმასის მილი 10მმ	1	8.00	40.00	0
173	ჰაერის პლასტმასის მილი 12მმ	1	8.00	40.00	0
174	ჰაერის მილის გადასაბმელი 6მმ	1	10.00	40.00	0
175	ჰაერის მილის გადასაბმელი 8მმ	1	10.00	40.00	0
176	ჰაერის მილის გადასაბმელი 9მმ	1	10.00	40.00	0
177	ჰაერის მილის გადასაბმელი 10მმ	1	10.00	40.00	0
178	ჰაერის მილის გადასაბმელი 12მმ	1	10.00	40.00	0
179	ჰაერის მილის გადასაბმელი 16მმ	1	18.00	40.00	0
180	ელ.მცველი	1	2.00		0
181	ჰიდრავლიკური ჯალამბარი	1	15,500.00	560.00	3 თვე
182	დანადგარის აქსელერატორის გვარლის მ/დ და აღდგენა	1		540.00	0
183	დანადგარის ელექტროობის დიაგნოსტიკა	1		80.00	0
184	კომპიუტეურლი დიაგნოსტიკა	1		80.00	0
185	ელექტროობის შეკეთება (მსუბუქი)	1		160.00	0
186	ელექტროობის შეკეთება (საშუალო)	1		400.00	0
187	ელექტროობის შეკეთება (მძიმე)	1		960.00	0
188	სამღებრო სამუშაო 1მ²-ის ღირებულება	1		300.00	0
189	სათუნუქე სამუშო 1 სთ-ის ღირებულება	1		120.00	0
190	სარობოტე სამუშაო 1 სთ-ის ღირებულება	1		80.00	0
191	პოლირება1მ²-ის ღირებულება	1		40.00	0
192	დაშლა აწყობა 1 სთ-ის ღირებულება	1		80.00	0
193	საპლასტმასე სამუშო 1 სთ-ის ღირებულება	1		80.00	0
194	მინაბოჭკოვანი დეტალების აღდგენა 1 სთ-ის ღირებულება	1		80.00	0
195	სტიკერი	1		80.00	0
196	გვერდითა წითელი ციმციმა	1	274.00	80.00	0
197	დანადგარის დონის საზომი პლატა	1	1,095.00	80.00	0
			154,263.00	32,864.00	

<u>შენიშვნა: ზემოთ ხსენებულ ნაწილებზე, გარანტია გავრცელდება, მხოლოდ ქარხნული წუნის შემთხვევაში</u>

შპს ჯი-თი გრუპ

ს/კ 200119923

დირექტორი: GT GROUPLLC Digitally signed by GT GROUPLLC Date: 2021.02.01 16:47:39 +04'00' თ. უსტიაშვილი